„თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეფექტურობის გაზრდა რესურსების რაციონალური გამოყენების ხარჯზე“

ფიქრია ქურიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის მენეჯმენტი

ხელმძღვანელი: ქეთევან გონინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც, წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოაგდენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელბიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ფიქრია ქურიძე

15.06.2023

აბსტრაქტი

სასწრაფო სამედიცინო დახმარება საქართველოში სულ უფრო მეტად ვითარდება და სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალური ძალისხმევით მიმდინარეობს ამ სფეროს განვითარებისათვის საჭირო პროექტების შემუშავება და განხორციელება. თუმცა, ხარვეზები კვლავ სახეზეა და საკმაოდ ხშირად, სასწრაფო სამედიცინო დახმარებს ბრიგადა უბრალოდ ვერ ასწრებს დანიშნულების ადგილამდე მისვლას, რაც აიხსნება ქვეყანაში, ამ შემთხვევაში დედაქალაქში, გადატვირთული საავტომობილო მოძრაობითა და საკმარისი ბრიგადების ნაკლებობით, ხოლო რეგიონებში, და განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრების არ არსებობით.

ამის საფუძველზე, ნაშრომში გაანალიზებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის არსი და ამ მხრივ, სასწრაფო სამედიცინო მომსახურების მნიშვნელობა. მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად ნაშრომში გამოკვეთილია ის ვარაუდები, რომლებიც არსებობს თბილისში სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ეფექტურობასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, კვლევის მიზნის შესწავლისათვის კი ნაშრომში მოცემულია სტატისტიკური მონაცემები, რომელთა დახმარებითაც კარგადაა წარმოდგენილი თბილისში არსებულ გამოძახებათა რაოდენობა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალის გამოკითხვის შედეგად კი, გაანალიზებულია რეალური ვითარება, წინ წამოწეულია დღეს არსებული რიგი გამოწვევები და ის რეკომენდაციები, რომლებიც აუცილებელია პრობლემათა პრევენცირებისა და სამომავლოდ ქვეყანაში კიდევ უფრო ხარისხიანი სასწრაფო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფისათვის.

Abstract

Emergency medical care is developing more and more in Georgia, and the state is making the best efforts to develop and implement the necessary projects for the development of this field. However, there are still gaps and quite often, the ambulance brigade simply cannot reach the destination, which is explained by the heavy traffic and lack of sufficient brigades in the country, in this case the capital, and the absence of emergency medical centers in the regions, and especially in the highland villages. .

Based on this, the present paper analyzes the essence of public health and in this regard, the importance of emergency medical services. As a result of the population survey, the paper highlights the assumptions that exist regarding the effectiveness of emergency medical services in Tbilisi.

In addition, in order to study the purpose of the research, the paper provides statistical data, with the help of which the number of calls in Tbilisi is well presented. As a result of the survey of emergency medical personnel, the real situation has been analyzed, a number of current challenges and recommendations have been put forward, which are necessary for preventing problems and providing even better quality emergency medical services in the country in the future.